# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 34

ქ. თბილისი

23 ივნისი 2017 წელი

**შემსყიდველი:** საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კიბერუსაფრთხოების ბიურო (შემდგომში "შემსყიდველი"), დირექტორის მოადგილის გიორგი ბესტავაშვილის სახით მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანის №30. ს/კ 200280622;

**მიმწოდებელი:** შპს ,,საჩუქრები-95" მისი დირექტორის სერგო გეგეჭკორის სახით, მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ.N26 საიდენტიფიკაციო კოდი: 203826654, საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი BAGAGE22, ანგარიშის ნომერი GE84BG0000000346237500

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ოთხი ერთეული სასაჩუქრე ხანჯალის შესყიდვა **(CPV18530000).**

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **180.00** (ასოთხმოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

## 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეების მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

## 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ც. დადიანის 30, მე-3 სართული.

4.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2017 წლის 23 ივნისის ჩათვლით.

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდება განახორციელოს იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 4.2 პუნქტში.

## 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და მიღება ჩაბარების წესი

6.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს განვითარებისა და საგარეო ურთიერთობების განყოფილების უფროსი მაია აბულაძე და ადმინისტრაციული სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო განყოფილების უფროსი სპეციალისტი მიხეილ ბიწაძე, რომლებსაც შეუძლიათ ინსპექტირება განახორციელონ ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და წარმოადგენენ საკონტაქტო პირებს.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტით, სათანადო სასაქონლო ზედნადების თანდართვით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

## 7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით.

## 12. დასკვნითი დებულებები

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან", ერთი ,,შემსყიდველთან".

| | |
|---|---|
| შემსყიდველი<br>სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურო | მიმწოდებელი:<br>შპს „საჩუქრები-95" |
| დირექტორის მოადგილე<br>გიორგი ბესტავაშვილი | დირექტორი<br>ხვიჩა გეგეჭკორი |

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. თბილისი

23 ივნისი 2017 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს მიერ ოთხი ერთეული სასაჩუქრე ხანჯალის (CPV18530000) გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში (ხელშეკრულების დადების თარიღი N34 23.06.2017წ.), ჩვენი მონაწილეობა შპს „საჩუქრები-95“-თან არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს:

| | |
|---|---|
| დირექტორის მოადგილე | გიორგი ბესტავაშვილი |
| ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი | ერეკლე შანშიაშვილი |
| ადმინისტრაციული სამმართველოს ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი | ნათია მელელაშვილი |
| განვითარებისა და საგარეო ურთიერთობების განყოფილების უფროსი | მაია აბულაძე |
| ადმინისტრაციული სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო განყოფილების უფროსი | რევაზ ჩხარტიშვილი |
| ადმინისტრაციული სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო განყოფილების უფროსი სპეციალისტი | მიხეილ ბიწაძე |
| ადმინისტრაციული სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო განყოფილების შესყიდვების მენეჯერი | ნათია მუკბანიანი |